



საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
ზრობის, განმრთობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო



# საქართველოში COVID-19 ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმა

2021 წლის იანვარი

# შინაარსი

- გეგმის ამოცანა
- სამიზნე მოსახლეობა და მოცვის ეტაპები
- პერსპექტიული ვაქცინები და შერჩევის კრიტერიუმი
- მოსახლეობის მოცვის ორგანიზაციული და ლოჯისტიკური საკითხები
- მოსამზადებელი ღონისძიებები: ტრენინგი, ვაქცინის უსაფრთხოება და საინფორმაციო სისტემები
- კომუნიკაციის პრიორიტეტები - მოთხოვნის ფორმირება
- საჭირო ფინანსური რესურსები

# ამოცანა

შერჩეული ვაქცინის ეფექტურობა და მოსახლეობაში ბუნებრივი იმუნიტეტი (გადატანილი დაავადების შედეგად) განსაზღვრავს იმუნიზაციით საჭირო მოცვის მაჩვენებელს, რომელსაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს რომ დაიცვას მოსახლეობა და გახსნას ეკონომიკა

ამიტომ 2021 წლის საორიენტაციო (და ამბიციური) სამიზნეა მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 60%-ის მოცვა ვაქცინით

# ძირითადი დაშვებები

- მსოფლიოში ვაქცინების გამოცდა-რეგისტრაციის მულტივალდ ცვალებადი სიტუაციიდან გამომდინარე მოხდება გეგმის ადაპტირება, განახლება
- იმუნიზაციის პროგრამა გაიშლება ეტაპობრივად, მოწოდებული დოზების პარალელურად მოხდება ჯერ პრიორიტეტული (მაღალი რისკის) ჯგუფების მოცვა, შემდეგ დანარჩენი მოქალაქეების

# სამიზნე მოსახლეობა და მოცვის ეტაპები

| ეტაპები  | პრიორიტეტული (მაღალი რისკის) ჯგუფები და რიგითობა           | სამიზნე მოსახლეობა* | ჯგუფის მოცვის სამიზნე (%) | სულ ასაცრელი კონტინგენტის რაოდენობა** |
|--|--|---------------------|---------------------------|---------------------------------------|
| Ia   | ჯანდაცვის სექტორის მუშაკები                                | 71,415              | 65%                       | 46,420                                |
| Ia   | ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების ბენეფიციარები და პერსონალი | 2,600               | 60%                       | 1,560                                 |
| Ia   | >75 ასაკის პირები  | 226,800             | 60%                       | 136,080                               |
| Ib   | 65-74 ასაკის პირები  | 329,183             | 60%                       | 197,510                               |
| IIa  | ესენციური (ძირითადი) სერვისების მიმწოდებლები               | 180,373             | 60%                       | 108,224                               |
| IIa  | 55-64  | 478,400             | 60%                       | 287,040                               |
| IIb  | 18-54 ქრონ. დაავადების მქონე პირები                        | 89,400              | 60%                       | 53,640                                |
| <b>ჯამი (მაღალი რისკის და ესენციური ჯგუფები)</b> |  |                     |                           | <b>830,474</b>                        |
| III  | მოსახლეობის სხვა ჯგუფები                                   | 1,434,567           | 60%                       | 860,740                               |
| <b>სულ ჯამი</b>                                  |  |                     |                           | <b>1,691,214</b>                      |
| მოზრდილი მოსახლეობის %                           |  |                     |                           | 60%                                   |

**დასახული მიზნის მისაღწევად 2021 წელს ქვეყანას დაჭირდება დაახლოებით 3,979,300 დოზა (იმუნიზაციისთვის დადგენილი დანაკარგების გათვალისწინებით)**

\* ზოგიერთი სამიზნე მოსახლეობის ჯგუფების ზომები შეფასებითია და ჯგუფები ურთიერთგადამფარავი, მაგრამ რაოდენობები დაკორექტირებულია

\*\* გათვლები და მოცვის მაჩვენებელი დათვლილია 18+ მოსახლეობისთვის რადგან დღესდღეობით არსებული ვაქცინები მხოლოდ 18+ მოსახლეობისთვის არის განსაზღვრული

# ეროვნული გეგმისთვის პერსპექტიული ვაქცინები

- ვაქცინების მსოფლიო ბაზარზე შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე გეგმა მოქნილია და ითვალისწინებს ნებისმიერი ტემპერატურული რეჟიმის მქონე ვაქცინის გამოყენებას, შემდეგი დაშვებით:

- - 80°C ტემპერატურული რეჟიმის ვაქცინის გამოყენებას 200,000 დოზის მოცულობით და მხოლოდ I-ლი პრიორიტეტული და სხვა ორგანიზებული ჯგუფებისთვის

## ან

- - 20°C ტემპერატურული რეჟიმის ვაქცინის გამოყენებას 200,000 დოზის მოცულობით და მხოლოდ I-ლი პრიორიტეტული და სხვა ორგანიზებული ჯგუფებისთვის (თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისაღები დოზების მოცულობის გაორმაგება)

## და

- უმეტესწილად 2-8 °C ტემპერატურული რეჟიმის ვაქცინის გამოყენებას მოსახლეობის ყველა დანარჩენი ჯგუფებისთვის რადგან ქვეყნის ცივი ჯაჭვი და იმუნიზაციის სისტემა უფრო მეტად ამგვარ ვაქცინებზეა მორგებული

- **აღნიშნული დაშვებები ეფუძნება ვაქცინების მსოფლიო ბაზარის არსებულ რეალობას\*, კერძოდ**

- არსებული მონაცემებით ვაქცინის მწარმოებელთა უმეტესობა გეგმავს 2°C - 8°C ტემპერატურული რეჟიმის ვაქცინის წარმოებას, ორი გამონაკლისის გარდა, რომლებსაც -80°C და -20°C ტემპერატურა ჭირდებათ

- 2021 წლის პირველ ნახევარში ვაქცინების მოსალოდნელი მოცულობა, რომელთაც გადაუდებელი გამოყენების ნებართვა ექნებათ 1.5-2.7 მილიარდ დოზას არ გადააჭარბებს, მოცულობების ზრდა უფრო 2021 წლის მეორე ნახევარშია მოსალოდნელი ≈ 3.6 მილიარდი დოზა და უმეტესი ვაქცინები იქნება 2°C - 8°C ტემპერატურული რეჟიმის ვაქცინა.

- და ბოლოს COVAX-ის ფონდის მიერ შეკვეთილ ვაქცინებში უდიდესი წილი 2°C - 8°C ტემპერატურული რეჟიმის ვაქცინებია.

\* <https://www.unicef.org/supply/covid-19-vaccine-market-dashboard>


# პერსპექტიული ვაქცინების შერჩევის კრიტერიუმი

- ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე ვაქცინის იმპორტისთვის სავალდებულო კრიტერიუმებია<sup>1</sup>
  - ვაქცინა იყოს აღიარებული **ჯანმო-ს მიერ** და შეყვანილი ან გადაუღებელი გამოყენების სიაში ან გავლილი ჰქონდეს პრე-კვალიფიკაცია
  - ან
  - ვაქცინას უნდა ჰქონდეს გადაუღებელი გამოყენების ნებართვა ან ეროვნული რეგისტრაცია **მაღალი სანდოობის მქონე ეროვნული მარეგულირებლისგან**, როგორცაა FDA (აშშ), EMA (ევროგაერთიანება), გაერთიანებული სამეფო, იაპონია, ავსტრალია და ა.შ. (სულ 37 ქვეყნის მარეგულირებელი)
- შესაბამისად გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ იმ ვაქცინების გამოყენებას, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ
- 2021 წლის 14 იანვრის მონაცემებით ამგვარი ვაქცინა მხოლოდ სამია, თუმცა მოსალოდნელია ეს სია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს 2021 წლის მე-II და III კვარტალში

<sup>1</sup>საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ

# ვაქცინაციისთვის შერჩეული დაწესებულებები

მოკლე ვადაში მოსახლეობის 60%-ის მოცვას დაჭირდება იმუნიზაციაშია ჩართული ქსელის გაფართოება, რაც მოხდება შემდეგნაირად



## საავადმყოფოები

- საკუთარი სამედიცინო პერსონალის ასაცრელად
- მოსახლეობის პრიორიტეტული ჯგუფების ასაცრელად
- -80°C ვაქცინის შემთხვევაში მოხდება მხოლოდ სპეციალურად შერჩეული დაწესებულებების მობილიზაცია



## არსებული იმუნიზაციის კლინიკები

- საკუთარი და მიმაგრებული სამედიცინო პერსონალის ასაცრელად
- პრიორიტეტული ჯგუფების და დანარჩენი მოსახლეობის ასაცრელად



## მობილური ბრიგადები

- ხანგრძლივი დაყოვნების დაწესებულებების ბენეფიციარები და მომვლელები
- ბინაზე მყოფი - არამობილური მოსახლეობის ასაცრელად




## მასიური ვაქცინაციის ცენტრები - დიდ ქალაქებში

- პრიორიტეტული მოსახლეობის ჯგუფების ასაცრელად
- ზოგადი მოსახლეობის ჯგუფების ასაცრელად



# ვაქცინაციის ეტაპობრიობა, მოსალოდნელი მოცულობები\* და საჭირო სიმძლავრეები\*\*

აცრების რ-ბა კვირაში



ეტაპობრივად გაიზრდება არა მარტო დაწესებულებების რაოდენობა არამედ მათი გამტარუნარიანობაც

\*გათვლები ეფუძნება 6 დღიან სამუშაო კვირას

\*\* გათვლები წინასწარია და დაზუსტდება ოპერაციულ დონეზე

# ადამიანური რესურსების მართვა და ტრენინგი

- ადამიანური რესურსის გადამზადების მიზნით გამოყენებული იქნება ჯანმო-ს და სხვა ორგანიზაციების მიერ უკვე შემუშავებული მასალები-გაიდლაინები
- შემუშავებულია ტრენინგის გეგმა, თემატური დიზაინი და მეთოდოლოგია
- განსაზღვრულია სამიზნე აუდიტორია და მათი რაოდენობები

# ვაქცინის უსაფრთხოების მონიტორინგი

- იმუნიზაციის შემდგომ განვითარებულ არასასურველ მოვლენებზე (იშგამ) ზედამხედველობა და მართვა განხორციელდება არსებული სისტემით, რომელსაც ქვეყანა 20 წელზე მეტია იყენებს
- სისტემას-დოკუმენტაციას დაემატება შერჩეული ვაქცინის სპეციფიური ელემენტები და არსებულ რეგულაციებთან ერთად საჭიროების მიხედვით შემუშავებული იქნება დამატებითი რეგულაციები
- გაფართოვდება იმუნიზაციის უსაფრთხოების ექსპერტთა ეროვნული კომიტეტი

# კოვიდ 19-ის ვაქცინაციის პროგრამისთვის საინფორმაციო სისტემა, მონიტორინგი და ეპიდზედამხედველობა

- ამოქმედდება აცრაზე ჩაწერის-რეგისტრაციის ონლაინ მოდული
- აცრების რეგისტრაცია და ანგარიშგება მოხდება უკვე არსებული იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდულის საშუალებით, რომელიც 2013 წლიდან გამოიყენება
- ვაქცინის მარაგების ეფექტურად სამართავად გამოყენებული იქნება იმუნიზაციის მარაგების მართვის შერჩეულ ვაქცინაზე მორგებული ელექტრონული მოდული
- ელექტრონული სისტემის მინიმალური მოდიფიცირებით მოხდება: ვაქცინების ლოგისტიკის მონიტორინგი; იმუნიზაციის მომსახურების პროცესის მონიტორინგი, მოცვის მაჩვენებლების კუმულაციური ზრდის მონიტორინგი, მოცვის მაჩვენებლის შედარება დაგეგმილ მაჩვენებელთან
- ეპიდზედამხედველობა განხორციელდება უკვე არსებული დაავადებათა ზედამხედველობის ერთიანი ელექტრონული სისტემის (დზეის) საშუალებით, რომელიც უკვე გამოიყენება COVID19-ის ზედამხედველობის მიზნებისთვის

# კომუნიკაციის პრიორიტეტები

- მომზადებულია კომპლექსური და პროაქტიული საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც მოიცავს:
  - სამედიცინო პერსონალის და მედია ტრეინინგებს
  - ეროვნულ დონეზე საინფორმაციო და სოციალური მობილიზაციის კამპანიას
  - ვაქცინაციის გვერდით მოვლენებზე საზოგადოების ინფორმირებას
  - მედია და სოციალურ მედია მონიტორინგს და დეზინფორმაციაზე ოპერატიული რეაგირების მექანიზმს

# საჭირო ფინანსური რესურსები

(წინასწარი შეფასება)

|             | მინიმალური<br>დირებულება(ლარი) | მაქსიმალური<br>დირებულება(ლარი) |
|-------------|--------------------------------|---------------------------------|
| სულ ბიუჯეტი | 64,333,622                     | 158,190,243                     |

## შენიშვნა:

გათვლებში გათვალისწინებული სხვადასხვა ვაქცინის სხვადასხვა სცენარით გამოყენების შესაძლებლობა და საჯარო სივრცეში არსებული ვაქცინის მინიმალური და მაქსიმალური ფასები

# ქვეყნის მზაობა კოვიდ 19-ის ვაქცინაციის გეგმის დანერგვისთვის

- მომზადებულია ვაქცინის დანერგვის დეტალური გეგმა შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით
- ქვეყანა რეგისტრირებულია კოვავის პლატფორმაზე და გადახდილი აქვს პირველი შენატანი 1.4 მილიონ დოზის მისაღებად მოსახლეობის 20% ისთვის
- ქვეყანას აქვს გამართული რუტინული იმუნიზაციის სისტემა შესაბამისი ცივი ჯაჭვით
- იმუნიზაციის პროგრამა არის სახელმწიფო პრიორიტეტი: ბოლო 8 წელიწადში იმუნიზაციის ბიუჯეტი ქვეყანაში გაიზარდა დაახლოებით 6-ჯერ და გეგმიური ვაქცინაციისთვის ქვეყანა ყიდულობს მხოლოდ ჯანმოს პრეკვალიფიცირებულ ვაქცინებს
- ბოლო წლებში ქვეყანაში დანერგილია 4 ახალი ვაქცინა ძირითადად გავის დახმარებით და შესაბამისად რამოდენიმეჯერ გადამზადებულია იმუნიზაციის პროგრამის პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები და ადამიანური რესურსი
- ჩამოყალიბებულია პარტნიორობა იმუნიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით საერთაშორისო პარტნიორებთან (WHO, UNICEF, GAVI, COVAX, WB, USAID, ADB და სხვა.)



საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
პრობის, განმარტდოვისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო



# მადლობა ყურადღებისთვის